ჯგუფის შიგნით მომხდარი წილების ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას აღირიცხება როგორც ტრანზაქცია ჯგუფის წევრებს შორის. ჯგუფის და არამაკონტროლებელი წილების საბალანსო ღირებულება კორექტირდება იმის შესაბამისად, თუ როგორ შეიცვალა მფლობელების წილი შვილობილებში. ნებისმიერი სხვაობა მიღებული კომპენსაციის სამართლიან ღირებულებასა და არამაკონტროლებელი წილის ნაშთის ცვლილებას შორის, აღიარდება პირდაპირ კაპიტალის მუხლში, რომელიც მიეკუთვნება დედა კომპანიის მფლობელს.

### **ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის პრინციპი („ფუნქციონირებადი საწარმო“)**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი მოიცავს როგორც ჯგუფის განზრახვას, გააგრძელოს ოპერირება, ასევე მის შესაძლებლობას, იმოქმედოს უწყვეტად პროგნოზირებად მომავალში.

ჯგუფის მენეჯმენტმა განახორციელა შესაბამისი შეფასება და მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2024 წელს დაფიქსირდა წმინდა ზარალი, რომელიც ძირითადად გამოწვეულია ფინანსური ხარჯებით და უცხოური ვალუტის კურსის მერყეობით, ჯგუფს გააჩნია სტაბილური შემოსავლები, გრძელვადიანი დაფინანსების წყაროები და ხარჯების ოპტიმიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის გეგმები.

ამრიგად, არ არსებობს გარემოებები, რომლებიც ეჭვს ბადებს ჯგუფის უწყვეტ ფუნქციონირებაზე. შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპით.

### **ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში**

შვილობილის შეძენისას აღიარებული გუდვილი ამორტიზდება მის სავარაუდო სასარგებლო ვადაში; თუ სანდოდ ვერ განისაზღვრება — პერიოდი არ აღემატება 10 წელს. ყოველ საანგარიშგებო თარიღზე ჯგუფი აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ნიშანი და საჭიროების შემთხვევაში აღიარებს გაუფასურების ზარალს.

### **ამონაგების აღიარება**

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მყიდველზე არსებითად გადადის რეალიზებული საქონლისთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი, თანხა სანდოდ ფასდება და ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა მოსალოდნელია.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. შემოსავალი აღიარებულია მაშინ, როდესაც საქონელი მიეწოდება მყიდველს და საკუთრების ძირითადი რისკები და სარგებელი გადადის მყიდველზე.

დაბრუნებები/ფასდათმობები ასახულია შესაბამის პერიოდში. იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარება ხდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

### **სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები**

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

### **საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს მიწის ნაკვეთს ან შენობას ან შენობის ნაწილს, რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღებას ან კაპიტალის შეფასებას და არ არის გამოყენებული ჯგუფის მიერ, ასევე არ ხდება მისი გაყიდვა ბიზნესის საწარმოო ციკლში. საკუთრება, რომელიც შენდება მომავალი მოხმარებისთვის, კლასიფიცირდება როგორც საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლების მიღება და/ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შემენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

ჯგუფი საინვესტიციო ქონებას აღირიცხავს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ყოველ საანგარიშგებო თარიღზე ფასდება, არსებობს თუ არა გაუფასურების ნიშანი; არსებობისას აღიარება ხდება გაუფასურების ზარალისა „მსს ფასს“ მოთხოვნებით.

### **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და შესაძლებელია დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

### **ცვეთა**

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

## ჯგუფი

## სასარგებლო მომსახურების ვადა

საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი

5-დან 7 წლამდე

სატრანსპორტო საშუალებები

2-დან 5 წლამდე

თუ არ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების შემდგომ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების „არასაოპერაციო ხარჯში“.

## არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია, და, ძირითადად, წარმოდგენილია კაპიტალიზებული ვებგვერდით, რომელიც კაპიტალიზდება, მათი გამოყენების დაწყებისათვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომელიც განსაზღვრულია 5-6 წლით.

## აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის მიმდინარე საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის

ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება მარაგების გაუფასურება, რისთვისაც მარაგების თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ მარაგების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში-პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

## **იჯარა**

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

## **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და ჯგუფის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან.

## მარაგები

მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

## გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. ადგილობრივი საგადასახადო რეგულაციების შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულება აღიარებულია როგორც ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდი გამოცხადდა, ხოლო მისი წარმოდგენა ანგარიშგებაში ასახავს ადგილობრივი საგადასახადო რეგულაციების მოთხოვნებს.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების ადმინისტრაციულ ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

ამონაგები, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

► როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

► როდესაც მოთხოვნების და ვალდებულებების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს. საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა ვალდებულებების ან სხვა მოთხოვნების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა გადასახადთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი ნამეტი ან ზარალი აისახება ფინანსურ შემოსავალში ან ფინანსურ ხარჯებში.

### **ბანკის სესხები და ოვერდრაფტები**

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ ხარჯებში.

### **პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები**

ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

### **ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ**

ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

### **3. მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) პირველადი ადაპტაცია**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის მეორე ყოველწლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც შეესაბამება მსს ფასს სტანდარტს. ჯგუფის მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2021 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, 35-ე განყოფილება მოითხოვს სტანდარტისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიულ გამოყენებას, რომელიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ეს ვერსია გამოყენებულ იქნა ფინანსური მდგომარეობის 2021 წლის 01 იანვრის დასაწყისში მომზადებისას და მსს ფასს სტანდარტის პირველი საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე შემდგომ პერიოდებში.

### **4. სააღრიცხვო შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას**

ჯგუფი აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი

მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.** ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ ჯგუფისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

**საეჭვო ვალების რეზერვი.** ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპნია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას ჯგუფი ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან.

**საწარმოს უწყვეტობის პრინციპი.** წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით (საწარმოს უწყვეტობა), რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ

შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განხრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

## **5. წინა პერიოდის ფინანსური პრეზენტაციის ცვლილებები და შედარებითი ინფორმაციის გადაჯგუფება**

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, ჯგუფმა გადახედა 2023 წლის პრეზენტაციას და განახორციელა კლასიფიკაციის/წარდგენის ცვლილებები, რომლებიც არ შეეხო ჯგუფის ფინანსურ შედეგს, ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების წმინდა მოძრაობას. ცვლილებები განხორციელდა მხოლოდ შედარებითი ინფორმაციის დონეზე და მიზნად ისახავდა ანგარიშგების უფრო ზუსტ და შინაარსობრივად შესაბამის წარმოდგენას მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებთან.

### **წარდგენის ძირითადი ცვლილებები:**

ა) მოგება-ზარალის ანგარიშგება (2023):

იჯარიდან მიღებული შემოსავალი წარმოდგენილია „სხვა საოპერაციო შემოსავალში“ და არ შედის „საერთო მოგებაში“. შესაბამისად, 2023 წელს:

- საერთო მოგება შემცირდა 753 ათასი ლარით (შედეგი: 2,253-ის ნაცვლად 1,500 ათასი ლარი).
- სხვა საოპერაციო შემოსავალი - იჯარა გაიზარდა 753 ათასი ლარით (0-ის ნაცვლად 753 ათასი ლარი).
- საოპერაციო შედეგი, მოგება დაბეგვრამდე და წმინდა მოგება უცვლელია.

ბ) ფულადი ნაკადების ანგარიშგება (2023):

ჯგუფმა დააკონკრეტა პოლიტიკა და 2023 წლის შედარებითი პრეზენტაცია წარმოადგინა:

- „მიღებული პროცენტები“ (16 ათ. ლარი) გადატანილია საინვესტიციო საქმიანობაში (წარმოდგენილი იყო საოპერაციოში).
- „გაცემული/(დაბრუნებული) სესხი“ (128 ათ. ლარი) ასევე წარმოდგენილია საინვესტიციო საქმიანობაში (წარმოდგენილი იყო საოპერაციოში).

შესაბამისად, 2023 წელს:

- საოპერაციო ფულადი ნაკადები შემცირდა 144 ათასი ლარით.
- საინვესტიციო ფულადი ნაკადები გაიზარდა 144 ათასი ლარით.
- ფულადი სახსრების წმინდა ცვლილებაზე გავლენა არ ჰქონია.

ამრიგად, ზემოაღნიშნული ცვლილებები წარმოადგენს წარდგენის/კლასიფიკაციის შესაბამისობას მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებთან და არ მოუხდენია გავლენა წმინდა ფინანსურ შედეგზე.

აღნიშნული ცვლილებები განხორციელდა ანგარიშგების პრეზენტაციის გაუმჯობესების მიზნით და არ საჭიროებს წინა პერიოდის აუდიტორული დასკვნის გადახედვას, რადგან არ უკავშირდება აღიარების, შეფასების ან მონეტარული უზუსტობის გამოსწორებას.

## 6. საინვესტიციო ქონება

ჯგუფის საკუთრებაში არსებულ საინვესტიციო ქონებას წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. საინვესტიციო ქონება აღირიცხება ღირებულების მოდელით, რაც შეესაბამება შეძენის ღირებულებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი ბალანსური ღირებულება შეადგენს 5,855 ათას ლარს.

## 7. ძირითადი საშუალებები

|                             | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ         |
|-----------------------------|-------------------------|-----------------------|-----------------------------|-------------|
| <b>31.12.2022</b>           | <b>36</b>               | <b>15</b>             | <b>34</b>                   | <b>85</b>   |
| შესყიდვები/კაპიტალიზაცია    | 38                      | 1                     | 69                          | 108         |
| გაყიდვები/ჩამოწერა          | -                       | -                     | -                           | -           |
| <b>31.12.2023</b>           | <b>74</b>               | <b>16</b>             | <b>103</b>                  | <b>193</b>  |
| შესყიდვები/კაპიტალიზაცია    | 4                       | 4                     | -                           | 8           |
| გაყიდვები/ჩამოწერა          | -                       | -                     | -                           | -           |
| <b>31.12.2024</b>           | <b>78</b>               | <b>20</b>             | <b>103</b>                  | <b>201</b>  |
| <b>ცვეთა და გაუფასურება</b> |                         |                       |                             |             |
| <b>31.12.2022</b>           | <b>(1)</b>              | <b>(1)</b>            | <b>(1)</b>                  | <b>(3)</b>  |
| მიმდინარე წლის ცვეთა        | (2)                     | (1)                   | (10)                        | (13)        |
| <b>31.12.2023</b>           | <b>(3)</b>              | <b>(2)</b>            | <b>(11)</b>                 | <b>(16)</b> |
| მიმდინარე წლის ცვეთა        | (6)                     | (3)                   | (13)                        | (22)        |
| <b>31.12.2024</b>           | <b>(9)</b>              | <b>(6)</b>            | <b>(24)</b>                 | <b>(39)</b> |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> |                         |                       |                             |             |
| <b>31.12.2023</b>           | <b>71</b>               | <b>14</b>             | <b>92</b>                   | <b>177</b>  |
| <b>31.12.2024</b>           | <b>69</b>               | <b>14</b>             | <b>79</b>                   | <b>162</b>  |

## 8. მარაგები

|                      | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|----------------------|-------------------|-------------------|
| საქონელი             | 5,931             | 4,139             |
| სხვა საწარმოო მარაგი | 7                 | 3                 |
| <b>სულ:</b>          | <b>5,938</b>      | <b>4,142</b>      |

## 9. მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ბალანსში ნეტო პრინციპით. ეს განპირობებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ერთიანი საგადასახადო ანგარიშის მექანიზმით, რომელიც მოქმედებს 2016 წლიდან და ითვალისწინებს გადასახადების კონსოლიდირებულ გადახდასა და აღრიცხვას ერთიან საგადასახადო კოდექსით.

## 10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                          | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან | 1,386             | 1,083             |
| საექვო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი   | (536)             | (225)             |
| სასესხო მოთხოვნები                       | 260               | 212               |
| მისაღები პროცენტები                      | 15                | 8                 |
| <b>სულ:</b>                              | <b>1,125</b>      | <b>1,078</b>      |

## 11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|                                 | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|---------------------------------|-------------------|-------------------|
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 54                | 266               |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში  | 35                | 341               |
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში     | 44                | 2                 |
| <b>სულ:</b>                     | <b>133</b>        | <b>609</b>        |

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც ჯგუფს მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

## 12. მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

| მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო<br>ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტისგან | ვალუტა | 31.12.2024    | 31.12.2023   |
|--------------------------------------------------------------------------|--------|---------------|--------------|
| სს „ვითიბი ბანკი“                                                        | USD    | -             | 227          |
| სს „ლიბერთი ბანკი“                                                       | USD    | -             | 8,799        |
| სს „სილქ ბანკი“                                                          | USD    | 10,929        | 498          |
| <b>სულ:</b>                                                              |        | <b>10,929</b> | <b>9,524</b> |

|                  | დასრულების<br>თარიღი | საპროცენტო<br>განაკვეთი | ვალუტა | 31.12.2024    | 31.12.2023   |
|------------------|----------------------|-------------------------|--------|---------------|--------------|
| სს ვითიბი ბანკი  | 24.02.2025           | 5,9%                    | USD    | -             | 227          |
| სს ლიბერთი ბანკი | 20.05.2023           | 5,5%                    | USD    | -             | 1,510        |
| სს ლიბერთი ბანკი | 25.05.2026           | 5,5%                    | USD    | -             | 559          |
| სს ლიბერთი ბანკი | 11.08.2032           | 5,5%                    | USD    | -             | 3,508        |
| სს ლიბერთი ბანკი | 11.03.2024           | 9,2%                    | USD    | -             | 290          |
| სს ლიბერთი ბანკი | 24.05.2024           | 9,2%                    | USD    | -             | 403          |
| სს ლიბერთი ბანკი | 14.06.2024           | 9,5%                    | USD    | -             | 887          |
| სს ლიბერთი ბანკი | 27.05.2024           | 9,2%                    | USD    | -             | 1,345        |
| სს ლიბერთი ბანკი | 06.02.2024           | 9,2%                    | USD    | -             | 298          |
| სს სილქ ბანკი    | 26.06.2024           | 10%                     | USD    | -             | 497          |
| სს სილქ ბანკი    | 15.05.2028           | 8%                      | USD    | 2,455         | -            |
| სს სილქ ბანკი    | 15.05.2034           | 8%                      | USD    | 5,679         | -            |
| სს სილქ ბანკი    | 15.05.2025           | 8%                      | USD    | 2,496         | -            |
| <b>სულ:</b>      |                      |                         |        | <b>10,630</b> | <b>9,524</b> |

ცხრილში წარმოდგენილი ყველა სესხის თანხა ცხრილში წარმოდგენილია ლარის ეკვივალენტში, შესაბამისი თარიღის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

აღნიშნული მაჩვენებლები მოიცავს მხოლოდ საბანკო სესხებს. დაკავშირულ მხარეებზე აღებული სესხები და დაგროვილი პროცენტები, რომელთა ოდენობა 2024 წელს შეადგენს 299 ათას ლარს (2023 წელს - 402 ათასი ლარი) წარმოდგენილია შენიშვნა №22-ში და ჯამურად შედის ბალანსში ასახულ სასესხო ვალდებულებებში. შესაბამისად, ბალანსში ასახული მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების ჯამური ოდენობა შეადგენს 10,929 ათას ლარს (მოკლევადიანი – 4,174; გრძელვადიანი – 6,755).

### 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                 | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|---------------------------------|-------------------|-------------------|
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები   | 1,906             | 788               |
| მიღებული ავანსები               | 39                | 133               |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 18                | 40                |
| <b>სულ:</b>                     | <b>1,963</b>      | <b>961</b>        |

### 14. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ოდენობას, რომელიც აღნიშნულია კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში.

2024 წლის განმავლობაში 98 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდები იყო გამოცხადებული და მფლობელისთვის გადახდილი.

### 15. ამონაგები

|                                            | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|--------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ამონაგები სამშენებლო მასალის რეალიზაციიდან | 30,091            | 26,592            |
| ამონაგები ტრანსპორტირებიდან                | 7                 | 17                |
| <b>სულ:</b>                                | <b>30,098</b>     | <b>26,609</b>     |

### 16. სხვა საოპერაციო შემოსავალი - იჯარა

|                                               | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|-----------------------------------------------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი იჯარიდან                           | 780               | 745               |
| შემოსავალი ელ. ენერგიის საკომპესაციო თანხიდან | 8                 | 8                 |
| <b>სულ:</b>                                   | <b>788</b>        | <b>753</b>        |

## 17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

|                                    | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|------------------------------------|-------------------|-------------------|
| ნედლეულის ხარჯი                    | (28,583)          | (24,945)          |
| ტრანსპორტირების ხარჯი              | (149)             | (93)              |
| საშუამავლო (საბროკერო) მომსახურება | (43)              | (71)              |
| <b>სულ:</b>                        | <b>(28,775)</b>   | <b>(25,109)</b>   |

## 18. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი

|                                          | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მომუშავე პერსონალის ხარჯი                | (679)             | (680)             |
| საექვო მოთხოვნების რეზერვი               | (312)             | (261)             |
| ცვეთა და ამორტიზაცია                     | (22)              | (13)              |
| იჯარის ხარჯი                             | (51)              | -                 |
| დაცვის მომსახურება                       | (71)              | (74)              |
| სატვირთო-სამუშაოების ხარჯი               | (47)              | -                 |
| საბანკო ხარჯი                            | (76)              | (37)              |
| კომუნალური ხარჯები                       | (45)              | (83)              |
| საკონსულტაციო ხარჯები                    | (42)              | (50)              |
| რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი | (52)              | -                 |
| სხვა საერთო ხარჯი                        | (48)              | (123)             |
| <b>სულ:</b>                              | <b>(1,445)</b>    | <b>(1,321)</b>    |

## 19. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

|                                           | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|-------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ფინანსური შემოსავალი</b>               |                   |                   |
| გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ეფექტი | 888               | 968               |
| საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშზე   | 16                | 21                |
| <b>სულ ფინანსური შემოსავალი:</b>          | <b>904</b>        | <b>989</b>        |

|                                           | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|-------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ფინანსური ხარჯი</b>                    |                   |                   |
| საპროცენტო ხარჯი                          | (843)             | (706)             |
| გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ეფექტი | (1,466)           | (960)             |
| <b>სულ ფინანსური ხარჯი:</b>               | <b>(2,309)</b>    | <b>(1,666)</b>    |

## 20. გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი

გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი მოიცავს თანამშრომელთა ანაზღაურებას, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან პროდუქციის რეალიზაციის პროცესთან. 2024 წელს აღნიშნულმა ხარჯმა შეადგინა 267 ათასი ლარი (2023 წელი: 138 ათასი ლარი).

## 21. პირობითი ვალდებულებები

**სამართლებრივი პროცედურები.** საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგეს ჯგუფს სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის წინააღმდეგ სასამართლო ან/და სააღსრულებო წარმოება არ ხორციელდება.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

ჯგუფის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღისთვის, 2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ გააჩნია არცერთი ისეთი პირობითი ვალდებულება, რომელიც IAS 37 „პირობითი ვალდებულებებისა და პირობითი აქტივების“ (IFRS for SMEs სექცია 21) შესაბამისად საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებას ან აღრიცხვას.

## 22. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

### დაკავშირებული მხარის გამჟღავნებული ინფორმაცია

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს მეორე მხარე ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ შევიდნენ გარიგებებში, რომელში შესვლაც არდაკავშირებულ მხარეებს არ შეუძლიათ, და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის არ შეიძლება გაფორმდეს ისეთივე პირობებით და მოცულობებით როგორც არდაკავშირებულ მხარეებს შორის. ყველა დაკავშირებულ მხარესთან გარიგება, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ განხორციელდა კომერციულ საფუძველზე.

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ჯგუფს და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                               | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|-------------------------------|-------------------|-------------------|
| სასესხო მოთხოვნები            | 260               | 212               |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | -                 | (74)              |
| გადასახდელი პროცენტები        | (60)              | (28)              |
| სასესხო ვალდებულებები         | (239)             | (375)             |
| სავაჭრო მოთხოვნები            | 22                | -                 |
| მისაღები პროცენტები           | 15                | -                 |
| <b>სულ:</b>                   | <b>(2)</b>        | <b>(265)</b>      |

ჯგუფს და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                   | 2024           | 2023           |
|-----------------------------------|----------------|----------------|
| შრომის ანაზღაურება                | (193)          | (95)           |
| საპროცენტო ხარჯი                  | (34)           | (62)           |
| საქონლის და მომსახურების ყიდვა    | (1,984)        | (1,104)        |
| საქონლის და მომსახურების მიწოდება | 109            | 499            |
| სასესხო მოთხოვნები                | 524            | 793            |
| სასესხო ვალდებულებები             | (594)          | (1,278)        |
| მისაღები პროცენტები               | 17             | -              |
| <b>სულ:</b>                       | <b>(2,155)</b> | <b>(1,247)</b> |

## 23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2025 წლის 30 სექტემბერს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ.

ჯგუფმა განიხილა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ აღნიშნულ თარიღამდე მომხდარი მოვლენები და არ გამოვლენილა ისეთი კორექტირებადი ან არაკორექტირებადი მოვლენა, რომელსაც არსებითი გავლენა ექნებოდა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.



კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

## კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

### საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

#### 1. ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „მეტალ ჯორჯია“ (შემდგომში „დედა კომპანია“) დაარსდა 2020 წლის 27 ივნისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

დედა კომპანიის იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ქინძმარაულის ქუჩა N 5-7-ის მიმდებარედ (ნაკვ. 03/097). საიდენტიფიკაციო კოდი: 406 308 302.

კომპანიას თანაბარი წილებით (50%/50%) ფლობენ გიორგი კობერიძე და კახა კობერიძე. დირექტორია: კახა კობერიძე.

კონსოლიდაციაში შედის შემდეგი 100%-იანი შვილობილი საწარმოები:

- შპს „ბილდმოლი“ – დაფუძნებული 2022 წლის 31 მარტს, მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი წერეთლის გამზირი N 118, საიდენტიფიკაციო კოდი: 402 209 659. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკუთარ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების (საინვესტიციო ქონება) იჯარა.
- შპს „ისა 28“ – დაფუძნებული 2022 წლის 31 მარტს, მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი წერეთლის გამზირი N 118, საიდენტიფიკაციო კოდი: 405 520 958. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საკუთარ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების (საინვესტიციო ქონება) იჯარა.

#### 2. ჯგუფის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

- 2024 წელს ჯგუფის კონსოლიდირებული შემოსავალი გაიზარდა 13%-ით და შეადგინა 30,886 ათასი ლარი (აქედან: ამონაგები 30,098 ათასი ლარი, სხვა საოპერაციო შემოსავალი - იჯარა 788 ათასი ლარი), რაც ასახავს ჯგუფის ოპერაციული მასშტაბის ზრდას და ბაზარზე პოზიციების გამყარებას.
- საერთო მოგებამ შეადგინა 1,323 ათასი ლარი, რაც ადასტურებს, რომ ჯგუფის ძირითადი საქმიანობა მოგებიანად აგრძელებს ოპერირებას და ინარჩუნებს ოპერაციულ სტაბილურობას.

- კონსოლიდირებულად დაფიქსირდა 1,023 ათასი ლარის წმინდა ზარალი, რომელიც ძირითადად გამოწვეულია ფინანსური ხარჯებითა და სავალუტო კურსის მერყეობის გავლენით. აღნიშნული ზარალი ძირითადად დაკავშირებულია გარე ფაქტორებთან და არ ასახავს ძირითადი ოპერაციების ეფექტიანობას, რომელიც სტაბილურ დინამიკას ინარჩუნებს.
- ჯგუფის ჯამური აქტივები გაიზარდა და შეადგინა 13,777 ათასი ლარი, რაც მიუთითებს ჯგუფის ოპერაციული მასშტაბების გაფართოებასა და შემოსავლების ზრდის პოტენციალზე.

მენეჯმენტის შეფასებით, ჯგუფის სტაბილური ოპერაციული საქმიანობა, ბაზარზე პოზიციების გამყარება და მზარდი მოთხოვნა ზრდის ჯგუფის ფინანსური შედეგების გაუმჯობესების პოტენციალს მომდევნო წლებში.

### 3. ჯგუფის რისკები და სტრატეგიები

- **სავალუტო რისკი:** ჯგუფის საქმიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმპორტზე, რის გამოც ექვემდებარება სავალუტო კურსების მერყეობას. საჭირო ხდება მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისი მენეჯმენტის ღონისძიებები.
- **ლიკვიდურობის რისკი:** ჯგუფის მიზანია შეინარჩუნოს სტაბილური ლიკვიდურობა და უზრუნველყოს მიმდინარე ოპერაციების შეუფერხებელი განხორციელება.
- **საბაზრო რისკი:** სამშენებლო სექტორზე დამოკიდებულება ქმნის გარკვეულ გამოწვევებს, თუმცა გაყიდვების ზრდა ადასტურებს პროდუქციის კონკურენტუნარიანობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბებასა და ზედამხედველობაზე, ასევე პოლიტიკის განვითარებასა და მონიტორინგზე.

### 4. ჯგუფის განვითარების გეგმები

2025 წლისთვის ჯგუფის სტრატეგიული მიზნები მოიცავს:

- გაყიდვების ქსელის გეოგრაფიულ გაფართოებას;
- საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციას;
- მომხმარებელზე მორგებული სერვისების გაძლიერებას და მომსახურების ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

## 5. დასკვნა

2024 წელი ჯგუფისთვის იყო გაფართოებისა და განვითარების ეტაპი. მიუხედავად წმინდა ზარალის დაფიქსირებისა, კონსოლიდირებული შემოსავლების ზრდა, აქტივების მატება და მომხმარებელთა სტაბილური მოთხოვნა ქმნის მყარ საფუძველს ჯგუფის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარებისათვის.

თარიღი: 30.09.2025 წ.

დირექტორი

---


კახა კობერიძე

5. დასკვნა

2024 წელი ჯგუფისთვის იყო გაფართოებისა და განვითარების ეტაპი. მიუხედავად წმინდა ზარალის დაფიქსირებისა, კონსოლიდირებული შემოსავლების ზრდა, აქტივების მატება და მომხმარებელთა სტაბილური მოთხოვნა ქმნის მყარ საფუძველს ჯგუფის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარებისათვის.

თარიღი: 30.09.2025 წ.

დირექტორი



კახა კობერიძე